ECOLINE ENERGY

ნასყიდობის ხელშეკრულება #2019-E-94

24.07.2019

ერთი მხრივ, **შპს "ეკოლაინ ენერჯი"** (შემდგომში მიმწოდებელი, ს/კ **405108556**), წარმოდგენილი მისი დირექტორის **თამაზ ლომიძეს** სახით და, მეორე მხრივ სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწრის ს/ს წარმოდგენილი დირექტორის **დათო არაბიძეს** სახით (შემდგომში შემსყიდველი ს/კ 232004719), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით, მიმწოდებელი აწვდის და საკუთრებაში გადასცემს შემსყიდველს ეკოლოგიურ „საწვავ ბრიკეტს" , CPV : 03400000 - მეტყევეობისა და ტყეკაფვის პროდუქტები, დანართ 1-ში მითითებული მახასიათებლებით.

1.2. მიწოდება განხორციელდება მოთხოვნისამებრ, მოთხოვნიდან 5 კალენდარული დღის ვადაში.

1.3. საქონლის მიწოდება განხორციელდება მისამართზე: სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწრის ს/ს.

1.4. საქონლის მიწოდება განხორციელდება მიმწოდებლის ხარჯით.

1.5. წინამდებარე ხელშეკრულების ძალით, შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს გადაცემული საქონლის ღირებულება ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და პირობებით.

2. უფლება-მოვალეობები

2.1. შემსყიდველის უფლება-მოვალეობები:

2.1.1. შემსყიდველი ვალდებულია დროულად გადაუხადოს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულების მესამე მუხლში მითითებული თანხა.

2.1.2. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს ნაკისრი ვალდებულებების დროული, ხარისხიანი და კვალიფიციური შესრულება.

2.1.3. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს საქონლის მიღებაზე (შესაბამისი მიღება-ჩაბარების ხელმოწერაზე) თუ საქონლის ხარისხი არ შეესაბამება შემსყიდველის მოთხოვნებს.

2.1.4. შემსყიდველი ვალდებულია მოწოდებული საქონელ (ბრიკეტი) მოათავსოს დახურულ მშრალ, სივრცეში, რათა არ მოხდეს მისი დაზიანება, კერძოდ, დასველება. შემსყიდველი ვალდებულია დაიცვას ექსპლუატაციის წესები.

2.2. მიმწოდებლის უფლება-მოვალეობები

2.2.1. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონელი.

2.2.2. უზრუნველყოს საქონლის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან.

3. ხელშეკრულების ფასი და გადახდის პირობები

3.1. 1 ტონა ეკოლოგიური საწვავი „ბრიკეტი"-ს ფასი შეადგენს 550 ლარს, საქონლის მთლიანი ფასი მოცემულია დანართ №1-ში.

3.2. საქონლის ფასის გადახდა განხორციელდება მიწოდებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

3.3. საქონლის ფასი მოიცავს საქონლის ტრანსპორტირების ღირებულებას.

3.4. მიწოდებული საქონლის სატრანსპორტო საშუალებიდან ჩამოცლას განახორციელებს მყიდველი საკუთარი რესურსით, საქონლის მიწოდებისთანავე.

4. ხელშეკრულების ვადა

4.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მხარეთა მიერ მათზე ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

5. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა

5.1. ამ ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული, მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულება ან კანონით განსაზღვრული სხვა შემთხვევები.

6. ფორსმაჟორი

6.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არადროული შესრულებისათვის თუ აღნიშნული გამოწვეული იქნება ფორს-მაჟორული ვითარებით.

6.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორულ ვითარებად მიიჩნევა გარემოება, რომელიც მხარეების კონტროლის ფარგლებს სცილდება, და რომლის დადგომაც ამ ხელშეკრულებით

ფალისწინებული ვალდებულებების შესრულებას შეუძლებელს ხდის და მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება: ომით, ამბოხებით, სამოქალაქო არეულობით, მიწისძვრით, ხანძრით, აფეთქებით, ქარიშხლით, წყალდიდობით ან სხვა სტიქიური უბედურებით, კონფისკაციით ან სახელმწიფო დაწესებულებების სხვა მსგავსი მოქმედებით.

6.3. მხარე, რომელსაც ფორს-მაჟორული ვითარება შეეხო, უმოკლეს ვადაში, მაგრამ ამგვარი გარემოებების დადგომიდან არაუგვიანეს თოთხმეტი (14) დღისა, ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს ამ ვითარების თაობაზე მტკიცებულების, ვითარების ხასიათის და მისი დადგომის მიზეზის აღწერით და შესაბამისად უმოკლეს ვადაში შეატყობინებს მეორე მხარეს ნორმალური პირობების აღდგენის შესახებ.

7. პრეტენზიები

7.1. მხარეთა პრეტენზიები საქონლის მიწოდებაზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის შემდეგ არ განიხილება.

7.2. საქონელი ითვლება რომ შეთანხმებული ხარისხისაა, თუ ის შესაბამისობაშია დანართ №1-ში მითითებულ მახასიათებლებთან.

8. დავების გადაწყვეტა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე საკითხების მოწესრიგება, დამატებით ხორციელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნათა შესაბამისად.

8.3. საქონლის მიწოდების შემდეგ, საქონელთან დაკავშირებულ მესამე პირების ნებისმიერ პრეტენზიაზე პასუხისმგებელია შემსყიდველი.

8.2. ყველა წინააღმდეგობას და სადავო საკითხს, გამომდინარე წინამდებარე ხელშეკრულებიდან, მხარეები წყვეტენ მოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, სადავო საკითხი წყდება სასამართლოს მიერ, დადგენილი წესით.

9. საერთო პირობები

9.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ იდენტურ ეგზემპლარად და სათითაოდ გადაეცემა მხარეებს.

9.2. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან კონფიდენციალურობა და არ გაახმაურონ წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მათთვის ცნობილი ფაქტები, თუ საწინააღმდეგოს არ მოითხოვს კანონი ან სასამართლოს გადაწყვეტილება.

9.3. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ორივე მხარის მიერ მისი ხელმოწერის შემდეგ.

10.4. ნებისმიერი ცვლილება და დამატება წინამდებარე ხელშეკრულებაში, შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ წერილობითი ფორმით, რომელიც ხელმოწერილი იქნება ორივე მხარის მიერ.

9.5. საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულების პირობებით, დამატებით რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

9.6. წინამდებარე ხელშეკრულება არ შეიცავს რაიმე დამატებით სიტყვიერ შეთანხმებებს.

10. მხარეთა რეკვიზიტები

შპს „ეკოლაინ ენერჯი“	**სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწრის საჯარო სკოლა**
ს/კოდი:405108556	ს/კ 232004719
ბანკი: სს ბანკი ქართუ	ბანკი LBRTGE22
CRTUG22 ა/ა GE68CR0000009466083606	

11. მხარეთა ხელმოწერები

მიმწოდებელი	შემსყიდველი

დანართი 1

პროდუქციის დასახელება	სპეციფიკაცია	რაოდენობა (ტონა)	მთლიანი ფასი (ტრანსპორტირების და დღგ-ს ჩათვლით)
საწვავი ბრიკეტი	100% ბუნებრივი ნედლეული შეფუთული ცელოფანში 10კგ-ად რაოდენობა ერთ შეფუთვაში 9ცალი ტენიანობა 5-7%	3	1650